შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“
„KUTAISI AUTOMOTIVE PLANT“ LTD

№ 01-11/ 101

20 ივნისი 2023 წელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ 2023 წლის 19 მაისის №01-11/87 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 4530 -22.05.2023წ.) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის ანგარიში - „ავტომექანიკური ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციურ ღუმელზე მოწყობილი გაფრქვევის მილის პარამეტრების შეცვლის თაობაზე“.

წარმოდგენილ ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების უწყვეტი ავტომატური მონიტორინგის მოწყობილობის - DUSTHUNTER T200 – Max -ს ექსპლუატაციისთვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა უჟანგავი გაფრქვევის მილის არსებობა. თუმცა, კომპანია «SENSÖRLER VE İLERİ CİHAZLAR KONTROL A.Ş»-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებისა და მათ წარმომადგენელთან კომუნიკაციის შედეგად დაზუსტდა, რომ მოწყობილობის -DUSTHUNTER T200 – Max -ს ეფექტური ექსპლუატაციისთვის გაფრქვევის მილის ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს და აღნიშნული მოწყობილობები მაღალეფექტურია მეტალურგიული საწარმოებისთვის გათვალისწინებული სტანდარტული ლითონის მილის არსებობის პირობებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ დაზუსტებულ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
2. Shp ფაილები.

ჯამბულატ ჯაყელი
გენერალური დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"20" 06 2023
№ 5687

მ/ : 4600, საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №88; * #88, Avtomshenebeli st., Kutaisi, Georgia, 4600
☎/FAX:(0-431) 266-200, ☎:(995-32) 221-02-78, FAX:(995-32) 221-02-80; E_mail: info@kamp.ge